

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 11 ივლისის სხდომის

ოქმი =34

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი), ესწრებოდა 16. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოვიძე. სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – აკადემიური პერსონალის შრომითი ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 10 ივლისის დადგენილება №951 – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინთ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 10 ივლისის დადგენილებას №951:

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, სტუ-ს წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სტუ-ს აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებთან დაკავშირებით სტუ-ს აკადემიური საბჭო ადგენს:

1. აკადემიურთანამდებობაზე მყოფი პირის მაქსიმალური აკადემიური დატვირთვა განისაზღვროს 400 საათით;

2. სრული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 36 ლარით, შესაბამისად სრული პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 1200 ლარით;

2.1. ასოცირებული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 26,80 ლარით, შესაბამისად ასოცირებული პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 893 ლარით;

2.2. ასისტენტ პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 20 ლარით, შესაბამისად ასისტენტ პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 667 ლარით;

3. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირების ანაზღაურება, რომლებიც ლექცია სემინარებს ატარებენ რუსულენოვან ჯგუფებში, აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის №696 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრება კოეფიციენტით 2 შესაბამისად.

3.1. სრული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 72 ლარით, შესაბამისად სრული პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 2400 ლარით;

3.2. ასოცირებული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 53,60 ლარით, შესაბამისად ასოცირებული პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 1786 ლარით;

3.3. ასისტენტ პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 40 ლარით, შესაბამისად ასისტენტ პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 1334 ლარით;

4. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირების ანაზღაურება, რომლებიც ლექცია სემინარებს ატარებენ ინგლისურენოვან ჯგუფებში, აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის №696 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრება კოეფიციენტით 3, შესაბამისად

4.1. სრული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 108 ლარით, შესაბამისად სრული პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 3600 ლარით;

4.2. ასოცირებული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 80,40 ლარით, შესაბამისად ასოცირებული პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 2679 ლარით;

4.3. ასისტენტ პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 60 ლარით, შესაბამისად ასისტენტ პროფესორის თვიური ხელფასი (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 2001 ლარით;

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი.
წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 11 ივლისის N 34 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი აკადემიური პერსონალის შრომითი ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013წლის 10 ივლისის დადგენილება N 951.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და პირობები:

1. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირის მაქსიმალური აკადემიური დატვირთვა განისაზღვროს 400 საათით;
2. სრული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 36 ლარით, შესაბამისად სრული პროფესორის თვიური თანამდებობრივი სარგო (400საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 1200 ლარით;
- 2.1. ასოცირებული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 27,00 ლარით (აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდირებული 26,80 ლარის ნაცვლად), შესაბამისად ასოცირებული პროფესორის თვიური თანამდებობრივი სარგო (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 900 ლარით (აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდირებული 893 ლარის ნაცვლად);
- 2.2. ასისტენტ პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 20,10 ლარით (აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდირებული 20 ლარის ნაცვლად), შესაბამისად ასისტენტ პროფესორის თვიური თანამდებობრივი სარგო (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 670 ლარით (აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდირებული 667 ლარის ნაცვლად);
3. აკადემიური თანამდებობაზე მყოფი პირების ანაზღაურება, რომლებიც ლექცია სემინარებს ატარებენ რუსულენოვან ჯგუფებში, აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის N 696 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრება:
 - 3.1 სრული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 72,00 ლარით, შესაბამისად სრული პროფესორის თვიური თანამდებობრივი სარგო (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 2400 ლარით;
 - 3.2 ასოცირებული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 53,55 ლარით,(აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდირებული 53,60ლარის ნაცვლად), შესაბამისად ასოცირებული პროფესორის თვიური თანამდებობრივი სარგო (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში)

განისაზღვროს 1785 ლარით (აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდირებული 1786 ლარის ნაცვლად);;

- 3.3 ასისტენტ პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 39,90 ლარით (აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდირებული 40 ლარის ნაცვლად), შესაბამისად ასისტენტ პროფესორის თვიური თანამდებობრივი სარგო (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 1330 ლარით (აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდირებული 1334 ლარის ნაცვლად);
4. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირების ანაზღაურება, რომლებიც ლექცია სემინარებს ატარებენ ინგლისურენოვან ჯგუფებში, აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის N 696 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრება:
 - 4.1. სრული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიურ საათი განისაზღვროს 108 ლარით, შესაბამისად სრული პროფესორის თვიური თანამდებობრივი სარგო (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 3600 ლარით;
 - 4.2. ასოცირებული პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 80,40 ლარით (აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდირებული 80,37 ლარის ნაცვლად), შესაბამისად ასოცირებული პროფესორის თვიური თანამდებობრივი სარგო (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 2680 ლარით (აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდირებული 2679 ლარის ნაცვლად);
 - 4.3. ასისტენტ პროფესორის ანაზღაურება 1 აკადემიური საათი განისაზღვროს 60,00 ლარით (აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდირებული 60,03 ლარის ნაცვლად), შესაბამისად ასისტენტ პროფესორის თვიური თანამდებობრივი სარგო (400 საათის დატვირთვის შემთხვევაში) განისაზღვროს 2000 ლარით (აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდირებული 2001 ლარის ნაცვლად).

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე